საიდ. N 82529/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №108-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, ს. ებრალიძე, ქ. კილაძე თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა თინათინ აფხაიძის (მის: წერეთლის გამზირი 87, 0119 თბილისი, საქართველო) N108-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 26 ივნისის N1116/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „სატრაპეზო“ (საიდ. N82529/03) დარეგისტრირება საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე, 30-ე, 31-ე და 43-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 26 ივნისის N1116/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“ (საიდ. N82529/03) არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ვინაიდან არაგანმასხვავებელუნარიანია 29-ე, 30-ე, 31-ე და 43-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთ მთავარ ნაგებობას, რომელიც შეიცავს ბერების საერთო ტრაპეზისათვის (საკვების მიღებისთვის) გამიზნულ დარბაზს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია 29-ე და 30-ე კლასების განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის, ვინაიდან აღნიშნული კლასის ჩამონათვალი წარმოადგენს საკვებ პროდუქტებს, ხოლო სასაქონლო ნიშანი კი მიუთითებს ადგილზე, სადაც ხდება საკვები პროდუქტების მიღება. სასაქონლო ნიშანი, ასევე, არაგანმასხვავებელუნარიანია 31-ე კლასის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან იგი სასაქონლო ნიშანი პირდაპირ მიუთითებს საქონლის ჩამონათვალზე. განცხადებული სასაქონლო ნიშანი 43-ე კლასის განცხადებული მომსახურების ჩამონათვალისთვის არაგანმასხვავებელუნარიანთან ერთად აღწერილობითია, ვინაიდან პირდაპირ მიუთითებს მომსახურების სახეზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სატრაპეზო“ (საიდ. N82529/03) ,,სასაქონლო

ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი, თინათინ აფხაიძე არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტი ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას იმ ნაწილში, სადაც ექსპერტი აღნიშნავს, რომ ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა დამოკიდებულია მომხმარებლის შესაძლებლობაზე, განასხვავოს ერთი მწარმოებლის საქონელი/მომსახურება მეორე მწარმოებლის საქონლისაგან/მომსახურებისაგან. თუმცა, ექსპერტი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება საშუალო მომხმარებლის საერთო და მყისიერი შთაბეჭდილება. აპელანტის აზრით, მომხმარებელი განცხადებულ სასაქონლო ნიშანს აღიქვამს, როგორც საწარმოს მაიდენტიფიცირებელ საშუალებას და არ დაებადება იმის შთაბეჭდილება, რომ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი რაიმე კავშირშია ბერების საერთო ტრაპეზისათვის (საკვების მიღებისთვის) გამიზნულ დარბაზთან. მით უფრო, რომ სიტყვა „ტრაპეზი“ თანამედროვე ქართულ ენაში ძალიან იშვიათად გამოიყენება და საშუალო მომხმარებელმა შეიძლება არც იცოდეს მისი ზუსტი მნიშვნელობა. აპელანტის განმარტებით, „სატრაპეზო“, რომელიც ძველქართულად ნიშნავს საკვების მიღების ადგილს, თანამედროვე ქართულში არ გამოიყენება ასეთად და შესაბამისად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საშუალო მომხმარებლისთვის ცნობილ საზოგადოებრივი კვების ობიექტის აღმნიშვნელ ტერმინად, რასაც ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა იმით, რომ ექსპერტს ფრჩხილებში აქვს განმარტებული სიტყვის მნიშვნელობა. საყოველთაოდ ცნობილ ქართულ სიტყვას კი განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს. აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის დადგენისას მხედველობაში მიიღება არა კონკრეტული დარგის სპციალისტის (მაგ. რელიგიათმცოდნის ან ლინგვისტის), არამედ მომხმარებელთა ფართო წრის -

საშუალო მომხმარებლის ცოდნა. აპელანტის პოზიციით, ექსპერტიზის მიერ გამოვლენილი დაპირისპირებული სასქონლო ნიშანი „სატრაპეზო საუკეთესო ხარისხი“ (საიდ. 72194/03), რომელიც რეგისტრირებულია განმცხადებლის სახელზე, შეიცავს იდენტურ სიტყვიერ ნაწილს „სატრაპეზო“ (ნიშანი რეგისტრირებულია იმავე კლასების იდენტური საქონლის/მომსახურების მიმართ). აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ 33-ე კლასის მიმართ საქპატენტში რეგისტრირებულია იდენტური სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“ (რეგ. N 16071). აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის მსჯელობას იმ ნაწილში, სადაც განმარტებულია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“ არ განასხვავებს ერთი მწარმოებლის საქონელს მეორე მწარმოებლის საქონლისაგან და მითუთებს, იმ სასაქონლო ნიშნების ჩამონათვალზე, რომელთა რეგისტრაციაც, ექსპერტიზის ამ პოზიციის თანახმად, არ უნდა მომხდარიყო. ასეთი ნიშნებია რეგისტრაციის ნომრებით: N19251, 18528, 18544, 17671,17497, 17490, 17489, 17215, 16512, 15279, 13964, 16071, 23836. აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, სადაც ექსპერტი აღნიშნავს, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი 43-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ არაგანმასხვავებელუნარიანთან ერთად აღწერილობითიცაა, ვინაიდან პირდაპირ მიუთითებს მომსახურების სახეზე. აპელანტის აზრით, სიტყვა „სატრაპეზო“ პირდაპირ არ მიუთითებს საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფით მომსახურებაზე და არ წარმოადგენს საშუალო მომხმარებლისათვის ცნობილი საკვები და სასმელი პროდუქტებით უზრუნველყოფის მომსახურების აღმნიშვნელ სახელწოდებას ან საზოგადოებრივი კვების ობიექტის აღმნიშვნელ ცნობილ ქართულ ტერმინს. შესაბამისად, საშუალო მომხმარებელი საქონელზე ან მომსახურების ობიექტზე სიტყვის „სატრაპეზო“ დანახვის დროს მოახდენს მეწარმისა და მისი საქონლის/მომსახურების იდენტიფიკაციას. აღნიშნულ სიტყვას საშუალო მომხმარებელი აღიქვამს სასაქონლო ნიშნად და არა საქონლის/მომსახურების

აღწერილობით ელემენტად. აპელანტის აზრით, საშუალო მომხმარებლისათვის სიტყვა „სატრაპეზო“ აღწერილობითი ვერ იქნება, ვინაიდან საკვები და სასმელი პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ობიექტის აღწერისას გამოიყენება თანამედროვე ქართული სიტყვა „სასადილო“ და არა „სატრაპეზო“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 26 ივნისის N1116/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“ (სად. 82529/03) დარეგისტრირდეს საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №108-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“ (საიდ. N82529/03) 29-ე, 30-ე და

31-ე კლასების განცხადებული საქონლის მიმართ არაგანმასხვავებელუნარიანია, ხოლო 43-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ არის არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითი.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ქართული ანბანით, სტანდარტულად შესრულებულ სიტყვიერ აღნიშვნას „სატრაპეზო“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი 1986წ.) თანახმად, სატრაპეზო არის ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა; შეიცავს ბერების საერთო ტრაპეზისთვის განკუთვნილ დარბაზს, აგრეთვე აღნიშნავს დამხმარე სათავსოებს (სამზარეულო, საწყობი და სხვა). განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტრაპეზი, ასევე, განიმარტება, როგორც სადილი, ნადიმი, წვეულება. სასაქონლო ნიშანი განცხადებულია საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: კლასი 29 – „ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის ნაწარმი; ზეთები და საკვები ცხიმები“; კლასი 30 – „ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფურთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული“. კლასი 31 – „სოფლის მეურნეობის, ბაღჩა-ბაღისა და ტყის პროდუქტები და მარცვლეული, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ცოცხალი ცხოველები; ახალი ხილი და ბოსტნეული; თესლეული, ცოცხალი მცენარეები და ყვავილები; ცხოველთა საკვები; ალაო“; კლასი 43 – „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო“, მისი სემანტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არაგანმასხვავებელუნარიანია 29-ე, 30-ე და 31-ე

კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან აღნიშნული კლასები მოიცავს საკვებ პროდუქტებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სატრაპეზოსთან, ანუ კვებისათვის განკუთვნილ ადგილთან. რაც შეეხება 43-ე კლასის მომსახურებას - „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“, განცხადებული ნიშანი 43-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის არის როგორც არაგანმასხვავებელუნარიანი, ისე აღწერილობითი, ვინაიდან პირდაპირ აღწერს იმ მომსახურებას, რომლისთვისაც მოითხოვება განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია.

რაც შეეხება აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის სახელზე უკვე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „სატრაპეზო საუკეთესო ხარისხი“ (საიდ. 72194/03), სააპელაციო პალატის კოლეგია განმარტავს, რომ ნიშანი რეგისტრირებულია მთლიანობაში სიტყვიერი აღნიშვნებისათვის „სატრაპეზო საუკეთესო ხარისხი“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე. ამდენად, აღნიშნული არგუმენტი მხედველობაში ვერ იქნება მიღებული.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თინათინ აფხაიძის სააპელაციო საჩივარი (N108-03/15) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 26 ივნისის N1116/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ს. ებრალიძე

ქ. კილაძე